

„ლიბერთი კაპიტალი“ და „საქართველოს სახალხო ბანკი“ სავალდებულო სატენდერო შეთავაზების დაწყების შესახებ აცხადებენ

დღეს სს „სახალხო ბანკის“ მფლობელმა „ლიბერთი კაპიტალმა“ და „საქართველოს სახალხო ბანკმა“ (GSE: BANK) „ლიბერთი კაპიტალის“ მიერ სავალდებულო სატენდერო შეთავაზების დაწყების შესახებ განაცხადეს. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ მყიდველი აკონტროლებს სააქციო საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, იგი ვალდებულია ყველა დანარჩენ აქციონერს შესთავაზოს მათი აქციების გამოსყიდვა. შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი დაადგინა დამოუკიდებელმა საბროკერო კომპანიამ და იგი შეადგენს 0.018 ლარს ერთ აქციაზე, რაც არის იგივე ფასი, რომელიც „ლიბერთი კაპიტალმა“ 2009 წლის 19 სექტემბერს „საქართველოს სახალხო ბანკის“ 91.218%-ის შესყიდვაში გადაიხადა.

„მოხარული ვარ, რომ სავალდებულო სატენდერო შეთავაზებას ჩვენი ახლადდაარსებული შვილობილი საბროკერო კომპანია „ლიბერთი სიქიურითიზ“ გაუძღვება. სავალდებულო სატენდერო შეთავაზება ძალაშია 2009 წლის 4 იანვრამდე“, აღნიშნა სს „სახალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა, „ლიბერთი კაპიტალის“ გენერალურმა დირექტორმა, **ლადო გურგენიძემ**.

**სს „სახალხო ბანკის“ შესახებ**

სს „სახალხო ბანკი“ (GSE: BANK) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 3.5% შეადგინა. სს „სახალხო ბანკის“ ქართულ ბანკებს შორის ყველაზე დიდი ფილიალების ქსელი აქვს და იგი 1.5 მილიონ ფიზიკურ პირს უწევს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.peoplesbank.ge ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი
ელ-ფოსტა: lado.gurgenidze@peoplesbank.ge ან ir@peoplesbank.ge